ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 482503425

თარიღი:03/02/2025

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 ივნისის №31 654 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის გ-49.4925031001 განკარგულების, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს (ს/კ 421274515) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის №ბ48.482334615 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის 2,10 პუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს დირექტორის მ/შემსრულებლის 2025 წლის 29 იანვრის №126/4 წერილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი-ს საშტატო ნუსხისა და სახელფასო განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 12 ივნისის №31 654 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართი ერთის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაცო ცენტრი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს (ვ.ზურაბიანი).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის 2025 საშტატო წუსხა დანართი #1

თანამდებობის დასახელება	**შტატები**	**თანამდებობრივი სარგო**
სულ	**10**	
დირექტორი	1	2700
დირექტორის მოადგილე	1	1500
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1	925
საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატ	1	925
ტურიზმის სტიმულირებისა და ბრენდის განვითარების კოორდინატორი	1	925
საინფორმაციო მომსახურების ტურ-ოპერატორი	1	858
ლოჯისტიკის მართვის კოორდინატორი	1	858
დამლაგებელი	2	458
საფინანსო ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორი	1	1075